

ქუჩასთან დაკავშირებული არასრულწლოვნების ჩართულობა
მართლსაწინააღმდეგო აქტივობებში

ხატია გოგალაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციოლოგიის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

სოციოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: შორენა სამაგლიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ხატია გოგალაძე

26.06.2019წ

აბსტრაქტი

საქართველოში ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მკვეთრად გაიზარდა არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაული, რამაც საზოგადოებაში ვნებათაღელვა გამოიწვია და მათ მიერ აქტიურად განიხილება საკითხი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში შესატან ცვლილებებსა და სასჯელის ზომების გამკაცრებასთან დაკავშირებით. თუმცა, არ არის საუბარი იმ მიზეზებზე რის გამოც არასრულწლოვნები ასე ხშირად ერთვებიან მართლსაწინააღმდეგო აქტივობებში და ჩადიან დანაშაულს. იმისთვის, რომ მოხდეს პრევენციის სტრატეგიების სწორად დაგეგმვა და დანაშაულის შემცირება უნდა გამოვიკვლიოთ არასრულწლოვანთა ის რისკჯგუფები რომელთაც უწევთ ისეთ გარემოში ცხოვრება, რომელიც უბიძგებს მათ არაკანონიერი ქმედების ჩადენისკენ. ამ მხრივ კი ყველაზე დიდი რისკჯგუფს წარმოადგენენ ქუჩასთან დაკავშირებული ბავშვები, რომელთაც უწევთ თავის გადასარჩენად თუ ოჯახის შესანახად ქუჩაში გასვლა და სხვადასხვა, მათ შორის მართლსაწინააღმდეგო საქმიანობით დაკავება.

აღნიშნულიდან გამომდინარე კვლევის მიზანს წარმოადგენს გავარკვიოთ ქუჩასთან დაკავშირებული ბავშვების მომსახურების მიმწოდებელთა ინტერპრეტაციები ქუჩასთან დაკავშირებული არასრულწლოვნების მართლსაწინააღმდეგო აქტივობებში ჩართვის მიზეზებთან დაკავშირებით. კერძოდ, გვინტერესებს, თუ ქუჩასთან დაკავშირებული ახალგაზრდები (1) რა ასაკიდან ერთვებიან მართლსაწინააღმდეგო აქტივობებში; (2) როგორია განსხვავებები გენდერის მიხედვით; (3) რა გარემოებები განაპირობებს მათ მართლსაწინააღმდეგო აქტივობებში ჩართვას; (4) რა სახის მართლსაწინააღმდეგო აქტივობებში არიან ჩართულნი და (5) რა გამოსავალს (პრევენციის შესაძლებლობებს) ხედავენ პროვაიდერები.

ნაშრომის მიზნის მისაღწევად განვიხილავ როგორც სხვადასხვა სახის დოკუმენტებს, ასევე კვლევის ნაწილში გამოყენებული მაქვს 2018 წელს ჩატარებული თვისებრივი კვლევის „*აივ ინფექციის პრევენცია ქუჩასთან დაკავშირებულ ახალგაზრდებში*“-ს მონაცემები რომელშიც მონაწილეობა მიიღო თბილისსა და რუსთავში ქუჩასთან დაკავშირებული ბავშვებისთვის მომსახურების მიმწოდებელი სამი ორგანიზაციის „World Vision“, „საქართველოს კარიტასი“ და „ბავშვი და გარემო“-ს თათითქმის ყველა რგოლმა.

კვლევის ანალიზმა აჩვენა, რომ ქუჩასთან დაკავშირებული არასრულწლოვნების კრმინალურ აქტივობებში ჩართვაზე მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას, ხოლო მათგან ძირითადია: ასაკი, ოჯახი, ფინანსური მდგომარეობა და სოციალური წრე.

საძიებო სიტყვები: ქუჩასთან დაკავშირებული არასრულწლოვნები; არასრულწლოვანთა დანაშაული; გამომწვევი ფაქტორები.

Abstract

In Georgia the crime committed by the juveniles has been dramatically increase. what caused the anxiety in the society and is actively discussed the required changes in the Code related to Juveniles' law and regarding to making charges stricter. Though they do not discuss the reasons why youngsters are involved in the criminal activities and commit a crime. In order to plan prevention strategy correctly and reduce the crime, the risk groups of juveniles who had to live in the environment encouraging for committing illegal actions. The street children are the greatest risk groups from this prospective as they have to go to the street or commit other activities, including illegal actions for survival or family maintenance.

The goal of the study is to identify the interpretations of the service providers to the street children regarding to the reasons of juvenile inclusion in illegal actions. In particular, 1) from which age they are involved in illegal activities 2) what is difference from Gender prospective; 3. What are the conditions encouraging them to be involved in illegal activities and 5) what are the solutions (preventive measures) suggested by the service providers.

For achievement the goal of the work different types of documents are reviews. In the research part the data from the qualitative research "AIV infection prevention in the youngsters related to the street" developed by almost all the chains of three service provider organization "World Vision", "Caritas Georgia" and "A Child and an environment" to Tbilisi and Rustavi street children.

The research analysis showed that many factors influence involvement of juveniles in the criminal activities, such as age, family, finances and social environment

Key words: Street children; juvenile crime, causing factors

მადლობა

მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, ქალბატონ შორენა სამაგლიშვილს დათმობილი დროისა და ენერჯისთვის. მისი რჩევები დამეხმარა სხვადასხვა სახის მონაცემების ერთად შეკვრასა და ანალიზში.